საქმე №2/28296-17

11464521882636

ს ა ო ქ მ ო გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

(ამონაწერი კრების ოქმიდან)

06.02.2026 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი

სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

განმცხადებელი - მოვალე - ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა
(საიდენტიფიკაციო ნომერი 28001030517)
წარმომადგენელი - ზვიად გადელია

გაკოტრების მმართველი - აღსრულების ეროვნული ბიურო

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა საკითხი მეურვის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას გადახდისუუნარობის საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 ნოემბრის განჩინებით ინდ. მეწარმე ფარვანა იუსუბოვას განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში, მეურვედ დაინიშნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და მოწვეულ იქნა კრედიტორთა კრება 2017 წლის 19 დეკემბერს, შემდეგი დღის წესრიგით: 1. მეურვის ანგარიშის მოსმენა, 2. კრედიტორად აღიარების საკითხის განხილვა, 3. გაკოტრების მმართველის დანიშვნა.

2017 წლის 19 დეკემბერს კრედიტორთა კრებაზე განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები კრედიტორად აღირების საკითხი და მე-4 რიგში აღირებულ იქნა შემოსავლების სამსახური 87 952.33 ლარისა და 501. ლარის ნაწილში ასევე კრედიტორად მე-6 რიგში აღიარებულ იქნა შპს „გერმანული ყასაბი 2010“

24681.66 ლარის ნაწილში.

ამავე კრედიტორთა კრებაზე ინდ. მეწარმე ფარვანა იუსუბოვას გაკოტრების მმართველად დაინიშნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.

2018 წლის 05 ოქტომბრის კრედიტორთა კრებაზე აღიარებულ იქნა კრედიტორად შპს „ტეტრაპროდუქტი“ ი/მ ფარვანა იუსუბოვას გადახდისუუნარობის საქმეში 389.3 ლარის ნაწილში მე-7 რიგში.

ამავე კრედიტორთა კრებაზე ინფორმაციად იქნა მიღებული გაკოტრების მმართველის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ ფარვანა იუსუბოვასთან მიმართებით დებიტორების მიერ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებით.

2025 წლის 17 დეკემბრის კრედიტორთა კრებაზე ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში განხორციელდა ცვლილება და ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრიდან მეოთხე რიგის კრედიტორული მოთხოვნებიდან ამოღებულ იქნა - სსიპ შემოსავლების სამსახური.

ასევე ამავე კრედიტორთა კრებაზე ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ 28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში განხორციელდა ცვლილება და ი/მ ფარვანა უსუბოვას (ს/ნ28001030517) კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრიდან მეექვსე რიგის კრედიტორული მოთხოვნებიდან ამოღებულ იქნა - შპს „გერმანელი ყასაბი 2010“.

ასევე ამავე კრედიტორთა კრებაზე აღიარებულ იქნა კრედიტორად **შპს „სავანეთი 99“ ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გაკოტრების საქმეში 8 893.31 ლარის ნაწილში მე-7 რიგში.

ასევე ამავე კრედიტორთა კრებაზე **ანდრანიკ მარტიროსიანის პ.ნ.07001001209, ზვიად გადელიას, სამინ გუსეინოვის და იუსუბ იუსუბოვის მოთხოვნები ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2025 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა კრედიტორთა მოთხოვნის რეესტრი, რომლის მიხედვითაც პირველ რიგში განისაზღვრა საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური და მეშვიდე რიგში შპს „ტერაპროდუქტის“ აღიარებული დავალიანება (2018 წლის 05.10) 393.3 ლარის და შპს „სავანეთი 99“-ის დვალიანება (2025 წლის 17.12) 8893.31 ლარის ოდენობით.

2025 წელს 18 დეკემბერს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განცხადებით მომართა სასამართლოს და მიუთითა, რომ კომპანიის ერთადერთ აქტივს წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა 530

ლარი. მეურვის/გაკოტრების მმართველის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად კრედიტორთა სასარგებლოდ გასანაწილებელი თანხა შეადგენს 530 ლარს. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური ჯამში შეადგენს 10 000 ლარს და წარმოადგენს პირველი რიგის მოთხოვნას.

06.02.2026 წლის კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველის მიერ მოთხოვნილ იქნა მოვალე კომპანიის გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება შემდეგ გარემოებათა გამო:

გადახდისუუნარობის რეჟიმში მოვალის და მარეგისტრირებელი ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

. ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას (ს/კ 28001030517) სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.
. ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას (ს/კ 28001030517) სალაროში ნაღდი ფულის სახით ნაშთი არ ერიცხება;
. მოვალე სამეწარმეო სუბიექტს საბანკო დაწესებულებებში დადებითი ნაშთის სახით თანხა არ ერიცხება.
. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში მოვალის საკუთრებად რაიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება არ არის რეგისტრირებული.
. ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა (ს/კ 28001030517) არ ფლობს არანაირ წილს სამეწარმოო რეესტრში რეგისტრირებულ სუბიექტებში.
. საგადასახადო თვალსაზრისით მოვალეს 2017 წლის ნოემბრის თვის შემდეგ რაიმე სახის აქტივობა არ უფიქსირდება.

საბოლოოდ, ინდივიდუალურ მეწარმე ფარვანა იუსუბოვას (ს/კ 28001030517) აქტივების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მოვალე სამეწარმეო სუბიექტის სამეურვეო მასას შეადგენს საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხა 530 (ხუთას ოცდაათი ლარი) ლარის ოდენობით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N1 ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად: აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას მეურვის/გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელებისას ბიუროს საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მეურვის ფუნქციის განხორციელებისას, თუ მოვალე საწარმოს მიმართ გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება: ა) თუ სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 100000 ლარს გაკოტრების მმართველის მიერ გასანაწილებელი, მათ შორის,

ქონების რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხის 7%, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა; აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც მეურვის საფასური უნდა განისაზღვროს 5000 ლარით.

ხოლო ამავე ბრძანების „ე“ ქვეპუნქტის თანახმად: გაკოტრების მმართველის ფუნქციის განხორციელებისას სამეურვეო ქონების საბაზრო ღირებულების 7%, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა და არაუმეტეს გაკოტრების მმართველის მიერ კრედიტორებისათვის გადასაცემი თანხის 7%-ისა, თუ აღნიშნული თანხა არ არის ნაკლები 5000 ლარზე;

შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმათა დანაწესის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური, რომელიც მოიცავს მეურვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურების საფასურს, შეადგენს 5000 ლარს, ხოლო გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურების საფასური, შეადგენს 5000 ლარს;

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ მომსახურების საფასური, წარმოადგენს პირველი რიგის მოთხოვნას 10000 ლარის ფარგლებში;

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის ამ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე. სამეურვეო ქონების რეალიზაციის შემდეგ, გაკოტრების მმართველი ადგენს მოვალის გაკოტრების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს კრედიტორებსა და სასამართლოს. გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების საფუძველზე მოსამართლე ადგენს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს. ხოლო, ამავე მუხლის მერვე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კრედიტორთა მოთხოვნების რესტრში უნდა აღინიშნოს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა.

ამავე კანონის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების

შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით (ერთხმად) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მითითებული სამართლებრივი ნორმებისა და მიმდინარე საქმეში არსებული კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის გათვალისწინებით, ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას (ს/კ 28001030517) მიმართ მიმდინარე გაკოტრების საქმის წარმოებაში არსებული გასანაწილებელი თანხა უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: საბანკო ანგარიშზე განთავსებული გასანაწილებელი თანხა 530 (ხუთას ოცდაათი ლარი) ლარის ოდენობით სრულად ექვემდებარება სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ანგარიშზე საფასურის სახით გადარიცხვას. აღნიშნული თანხით ნაწილობრივ კმაყოფილდება პირველი რიგის კრედიტორული მოთხოვნა ხოლო, კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული მე-7 რიგის კრედიტორების მოთხოვნა რჩება დაუკმაყოფილებელი შესაბამისი თანხის არ არსებობის გამო.

კრედიტორთა კრებაზე, წარმოდგენილ ანგარიშს დაეთანხმა კრედიტორი **შპს „სავანეთი 99“ -ის** წარმომადგენელი დავით ჭაღიაშვილი.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ ანგარიშს, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები მიიჩნია, რომ გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, მიზანშეწონილია ი/მ ფარვანა იუსუბოვას გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა ”გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 36-42-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დამტკიცდეს გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი გაკოტრების ანგარიშში თანხის განაწილების შესახებ. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, როგორც მეურვის საფასური (10 000 ლარი) გადახდისუუნარობის საქმის წარმოებიდან ამონაგები თანხით დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და 530 ლარი გადაეცეს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

2. დასრულდეს ი/მეწარმე ფარვანა იუსუბოვას (28001030517) მისამართი ქ. მარნეული ნ.ნარიმანოვის ქ.N9 **გაკოტრების საქმის წარმოება და ი/მ გამოცხადდეს გაკოტრებულად**;

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრს დაევალოს **ფარვანა იუსუბოვას** რეგისტრაციის გაუქმება (რეესტრიდან ამოშლა);

4. კრედიტორთა რეესტრში რეგისტრირებული მე-7 რიგის კრდიტორების მოთხოვნა დარჩეს დაუკმაყოფილებელი შესაბამისი თანხის არარსებობის გამო.

5. განჩინება განთავსდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (www.ecourt.ge);

6. განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (www.ecourt.ge) მისი გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, №64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

მოსამართლე: **თინათინ ეცადაშვილი**